შპს „სილქ მედიას“ 2025 წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „სილქ მედიას“, როგორც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირის 2025 წლის ანგარიშს:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე შპს „სილქ მედიას“ დირექტორის ბრძანებით შპს „სილქ მედიაში“ დამტკიცებულია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის დებულება;

2. 2025 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შემოსულა საჩივარი შპს „სილქ მედიას“ მიერ „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევის თაობაზე;

3. 2025 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა;

4. 2025 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ღონისძიებები კომპანიის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

5 კომპანია ტელემაუწყებლობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

6. კომპანიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის, სს „სილქნეტის“ მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება და ასევე შემოსავლები რეკლამიდან და სპონსორობიდან.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, მომზადებული „KPMG Georgia LLC”-ის მიერ.